საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7342/01
15/07/2021

7342-01-2-202107151321

შპს „საგურამო ენერჯის“

მის: ქ. თბილისი, მ. კოსტავას I შესახევევი №33

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა, თქვენი 2021 წლის 1 ივლისის N11588 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში 4,4 მგვტ სიმძლავრის „საგურამო ჰესის" ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის ანგარიშში მითითებულია, რომ ჰესის ტერიტორიაზე დაგეგმილი იყო ქვესადგურის განთავსება, თუმცა ჰესის გამომუშავებული ელექტროენერგიის ელექტროსისტემაში ჩართვა განხორციელდა პირდაპირი მიერთების გზით 110 კვ. ქვესადგურ „საგურამოსთან“, რომელიც ჰესის შენობიდან 800 მეტრის დაშორებით მდებარეობს. სკრინინგის ანგარიშში განხილული არ არის აღნიშნული ქვესადგურის ადგილმდებარეობა (GPS კოორდინატები ან/და shp ფაილები), ასევე ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის სქემატური ნახაზები;
- სკრინინგის ანგარიშის თანახმად, უქმი წყალსაგდებისთვის 145 მეტრის მილსადენის ნაცვლად, გამოიყენება 240 მ სიგრძის მილსადენი, ხოლო ტურბინის ნამუშევარი წყლის არინებისთვის 116 მ სიგრძის მილსადენის ნაცვლად - ორი ერთეული 240 მ სიგრძის მილსადენი. სკრინინგის ანგარიშში სქემატური ნახაზებისა და shp ფაილების სახით, მოცემული და ერთმანეთთან შედარებული უნდა იყოს თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული და არსებული მილსადენის დერეფნები;
- სკრინინგის ანგარიშში სქემატური ნახაზების და shp ფაილების სახით მოცემული და ერთმანეთთან შედარებული უნდა იყოს თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული ჰესის შედარება არსებულ ჰესთან.
- სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილ N1 სიტუაციურ რუკაზე სრულყოფილად არ არის გამოსახული ჰესი და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, სიტუაციურ ნახაზზე წარმოდგენილი არ არის ჰესის და მასთან

დაკავშირებული ინფრასტრუქტურის შესახებ ტექსტური ინფორმაცია (ექსპლიკაცია);

- სკრინინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები არსებული მდგომარეობით უკვე განხორციელებულია, თუმცა ანგარიშში მითითებულია ჰესის „საპროექტო ტერიტორია“. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს უკვე განხორციელებული და პროექტით დაგეგმილი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ განცხადებას დანართის სახით თან ახლავს ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები, თუმცა დოკუმენტის ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე